

საქართველო

პროზაული თავისუფლების ზონით - პროზაული თავისუფლებისათვის
პროზაული თავისუფლების ზონით - პროზაული თავისუფლებისათვის

პროზაული თავისუფლების ზონით
პროზაული თავისუფლებისათვის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გაეოქმედა საბჭოთაობის, სუთნაობის, შაბათის

№72 (1582)

17-19 ივლისი, 1997 წელი

გვერდი 1

თუ კვირიას ბრიგადი დაატყვევებ, რატომ მსუბუქად მაინც არ წაკენდლავთ ოსაძეს?

გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს

ღრმად პატივცემულო ბატონო ნოდარ, თქვენმა წერილებმა მართლაც გრიგალივით გადაიარა უშიშროების მინისტრის თავზე. მე, როგორც ერთი რიგითი მკითხველი, გითანაგრძობდით, თუმცა ვფიქრობდი, რომ ამა სოფლის ძლიერებთან თქვენი კამათი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა. მოხდა სენსაცია. გადადგა უშიშროების მინისტრი. უფრო ზუსტად, იძულებული გახდა გადადგარიყო, მაგრამ სენსაციას სენსაცია მოჰყვა. ის, ვინც ამხელდა ბატონ კვირიას მოქალაქეთა უფლებების შელახვაში და ვინც თქვენ გაჩვენათ დოკუმენტი, რომელმაც თქვენი რისხვა გამოიწვია, თავად აღმოჩნდა კვირიას „დუბლი“. მხედველობაში მაქვს დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი მიხ-

ეილ ოსაძე, რომელიც, როგორც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოდან“ შეგიტყვევებ, უფრო ადრე უსმენდა ამ გაზეთის მთავარ რედაქტორს ბატონ თამაზ წიფივადეს.

ბატონო ნოდარ, გეკითხებით, რატომ სდუმართ? ცუდია, როცა თქვენ გისმენენ, მაგრამ კარგია, როცა თქვენს კოლეგას მოუსმენენ?

იმედია, ამ პატარა ბარათს გამომიქვეყნებთ და პასუხსაც გამცემთ, ვინაიდან ამ კითხვაზე პასუხი ძალიან ბევრს გვინტერესებს.

პატივისცემით
ელდარ ჭაბუკიძე
მ.რუსთავი

ელდარ ბრიგადის მოკრიბა სამსახურსა

ნოდარ ბრიგადის

ბატონო ელდარ, არა მხოლოდ თქვენზე, არამედ მთელს ქართულ საზოგადოებრიობაზე დამორღუნებულად იმოქმედა იმ პუბლიკაციამ, რომლითაც სატელეფონო საუბრების მოსმენაში ბრალი დაედო პარლამენტის დროებითი საგამომცემო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ ოსაძეს. ბუნებრივი იყო, მკითხველი და მათ შორის მეც, თქვენი მონა-მორჩილი, აღუფიქრებელი იმის გამო, რაც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაისტამბა.

მართლაც, როგორი სამართალია, ამხილო კვირია სატელეფონო საუბრების მოსმენაში და იგივეს სჩადიდებ თავად.

პირადად მე, არ დაგიმაღლავთ, მეორე რაუნდის ჩატარებას უკვე ბატონ მიხეილ ოსაძის წინააღმდეგ ვაპირებდი, მით უფრო, კვირიას მომხრე და მისთვის თავდადაკლულ კადმოსანთა ეჭვიან მხერას რომ წავაწყდებოდი ხოლმე, აღარაფერს ვამბობ მათ პუბლიკაციებზე „ასავალ-დასავალიდან“.

კვირიას ჩემთვის მამულები არ წაურთმევეია, პირიქით, ჩემს მამულში, ბორჯომში წავიდა დასასვენებლად. ცხადია, თუ მის უგვანობას ამხელკაცი, იგივე უნდა გააკეთო იმ პერსონისადმი, ვინც პირველად ჩამოკრა განგაშის ზარი და თავადვე აღმოჩნდა, როგორც თქვენ წერთ, მისი „დუბ-

ლი“. მეტსაც გეტყვით, ეს ფაქტი რომ დადასტურებულიყო, ოსაძე უფრო შავ დღეში აღმოჩნდებოდა...

მაგრამ...

ახლა მოგახსენებთ იმ მორიგი ვერაგობის შესახებ, რაც გათამაშდა.

ოსაძისადმი ბრალდების გამოქვეყნების შემდეგ საკუთარი ინიციატივით დამიკავშირდა თვით ოსაძე და წარმოადგინა დოკუმენტები, არგუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ბრმასაც კი ავიხილება თვალი და დაინახავს, როგორ წაუმატეს დანაშაულს დანაშაული იქ „სადაც ჯერ არს“, როგორ შეთხზეს ყალბი დოკუმენტი მათი მამხილებელი ოსაძის წინააღმდეგ. თუ სადამდე შეუძლიათ დაეცნენ ადამიანები, საკუთარი ტყავი რომ გადაიჩინონ და სხვას ლაფი მისახან.

როგორ ეცადნენ გამოეყენებინათ თამაზ წიფივადის ავტორიტეტი, რათა მათი უნიჭო ღვედავი პოლემიკის დიდოსტატის საჯარო გამოსვლებით გაყარებულყო.

ჩემი ინფორმაციით, ოსაძის დოკუმენტები და არგუმენტაცია ხვად, პარასკევს, სწორედ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოში“ დაიბეჭდებოდა, ამის შემდეგ კი, ეტყობა, მეორე რაუნდის გამართვა იმ „სუკინსინებთან“ მომიწევს, რომლებიც აღარაფერს ერიდებიან, შავი რომ თეთრად წარ-

მოაჩინონ და პირიქით. ვფიქრობ, ამათ აწი მოტყუების მცდელობისათვის არც „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი დააყრის ხეირს.

P.S. ამას წინათ მე ვიხუმრე, უშიშროების კოლეგამ პროკურატურაში იჩივლა და პროკურატურა ადვოკატთა და დოკუმენტის შოთა კვირიას თუ კვირია მისმენდა შემთქი. არ გამოიკვირდება, ხვად რომ ახალი დოკუმენტი გამოქვეყნდეს, სადაც უშიშროების მიერ ჩემი გვარი იქნება დაფიქსირებული და ეწერება, რომ მე დაეაღება ვადღეველი ჩემი გაზეთის კორექტორებს ინტენსიურად ესმინათ უშიშროების შეფისთვის (?).

P.S.S. მას შემდეგ, რაც უშიშროების მინისტრი „გადადგა“, მის წინააღმდეგ ერთი სტრიქონიც აღარ დამიწერია. ჩხუბის შემდეგ ხელების ქნევა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ზოგიერთ ჟურნალისტსა და ცნობილ კოლექტიურ წერილზე ხელმომწერ ჯანსუღ ჩარკვიანს ჩემი დუმილი, ეტყობა, ჩემს სისუსტედ აქვთ აღქმული.

უმორჩილესად ვთხოვ მათ, გაითვალისწინონ ერთი ანდაზის სიბრძნე: ვისაც შუშის სახლი აქვს, ქვებს არ უნდა ისროდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სახლი თავზე დაეფეხება...

პოლიტიკურ შანტაჟს და იაფფასიან პოპულიზმს ბოლო უნდა მოაღოს!

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას
ცხელ-ცხელ ბრალდებებთან
დაკავშირებით დაუფრთხილავ გააკეთა რეაქცია შინაგან საქმეთა
მინისტრმა და გამოგზავნა ასეთი პასუხი:

მას შემდეგ, რაც 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, ქვეყანა დაადგა სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ურთულეს გზას. მიუხედავად მრავალი სირთულეების, პრობლემების და დაბრკოლებებისა, პრეზიდენტის და პარლამენტის უშუალო ძალისხმევით საქართველოს სინამდვილეში, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში სულ უფრო რეალური ხდება კონსტიტუციური, დემოკრატიული თანაცხოვრების პრინციპები და ნორმები. დემოკრატიული აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის ჩვენს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას.

შინაგან საქმეთა მინისტრი აქტიურად თანამშრომლობს მასმედიის წარმომადგენლებთან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გამართულ პოლემიკებში, განმარტავს, ასახულებს თავის პოზიციას, სთმავს რეაგირებას ახდენს პოლიციის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და პრეტენზიებზე, ზოგ შემთხვევაში იმ უსაფუძვლო ბრალდებებზეც, რომლებიც გამოითქმება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ეს აბსოლუტურად ნორმალური პროცესია და ჩვენ მზად ვართ მომავალშიც აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა სწორი, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ყოველდღიურად მიგვაჩნია, როდესაც ზოგიერთი პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და საეჭვო მიზნებს მისაღწევად იყენებენ პრესას ცილისმამბლური კამპანიების გასაჩივლებლად. სწორედ ამის კლასიკურ მაგალითს იძლევა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

როდესაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ მან გააკეთა „სენსაციური“ განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის ვითომდა ბენზინის მფთველთან ალიანსის შესახებ, მე მივმართე რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ბატონ ჯაბაილაშვილს და კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ბა-

პოლიტიკურ განტანს და იაფფასიან პოპულარულს ბოლო უნდა მოედოს!

საპროპაგანდა საპროპაგანდა საპროპაგანდა

„თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში და საქართველოს პრეზიდენტის დღევანდელი ვიზიტი აშშ-ში ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ეს ორი ვიზიტი დადებით ზეგავლენას იქონიებს აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე მხარეებზე და ყველა იმ სახელმწიფოზე, რომლებიც ამ კონფლიქტის გადაწყვეტაშია ჩართული“, - უთხრა პრეზიდენტის პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ.

მისი თქმით, ამერიკის მოთხოვნით, ვიზიტის დროს, ძირითადად, ეკონომიკური საკითხები უნდა განხილულიყო, მაგრამ აფხაზეთის საკითხის განხილვა მათ თავად შეეძლოთ.

„შეგარდნადის ვიზიტი, აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის მიწვევით, აგვისტოს პირველი რიცხვებისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ მისი დღეისათვის გადმოტანა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ვიზიტი შედგება 23 ივლისს ენეპეაში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების გამართვამდე“, - მიანიხილავს ჩიტაიამ.

ევროსაბჭო ქსკპრტიმას ჩაატარებს

სამართლებლო პარლამენტის რეკონსტრუქციის პროექტის და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტმა თხოვნით მიმართა ევროსაბჭოს, ჩაატაროს „თვითმმართველობის შესახებ“ კანონპროექტის ექსპერტიზა.

ევროსაბჭო ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანია იყო საქართველოს პარლამენტში გუშინ დასრულებული კონფერენციისა, სახელწოდებით: „დემოკრატია ადგილებზე თანამედროვე საზოგადოებაში“, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებს მიეძღვნა.

„ქვეყანაში ვერ დამკვიდრდება ჰეგემარტი დემოკრატია, თუ არ არსებობს დემოკრატია ადგილებზე“, - განაცხადა კონფერენციაზე გასული დღის კანონის მიღება, რომელიც უპასუხებს ევროპის პარტიის პრინციპებსა და მოთხოვნებს, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს გასაწევრიანება.

საკაზახულო სესიაზე საქართველოს პარლამენტმა ვერ მოახერხა მიეღო კანონი თვითმმართველობის შესახებ, რომლის საფუძველზეც უნდა ჩატარებულიყო არჩევნები ადგილებზე, რადგან დემოკრატია ვერ შეთანხმდნენ - პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელები, თუ ისინი მოსახლეობამ უნდა აირჩიოს (პრეზიდენტი).

ქობა ქობაქა



პირველი გვერდიდან

ტონ რ. შვიციშვილის გამოცხადებით ჩემი „ამბიციები“ დოკუმენტები, თუკი ასეთი რამ მათ გააჩნდათ. ეს აბსურდული ბრალდებები ყველაგვარ საფუძველს იყო მოკლებული და რა თქმა უნდა არ დადასტურდა. მიუხედავად ამისა, მე შეგნებულად თავი ავარიდე პოლემიკაში ჩაბმას, ვინაიდან ისედაც უამრავი პრობლემებითა და საჭიროებით ვარ დაკავებული.

მაგრამ მიმდინარე წლის 15 ივლისს იასარიშვილი-ჭანტურის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებული მორიგი „ქმისაქორი“ განცხადება უკვე ყველაგვარ ზღვარს სცილდება და მოითხოვს როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ შეფასებას. ვფიქრობთ, რომ ბოლო მოვლენების დროს საზოგადოებრივად კარგად დაინახა, რა მეთოდებს მიმართავს ქალბატონი ირინა თავისი მიზნების მისაღწევად. იგი რაღაცეა უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ პოპულარული ლოზუნგი, შეთიხილი ბრალდებები, რათა განაწილებული, ხელმოცარული პირებისა-

გან მიიღოს ამ ბრალდებების დამადასტურებელი სხვადასხვა გზებით „მოპოვებული“ დოკუმენტები. მე მინდა ქალბატონი იასარიშვილი-ჭანტურის და სხვათა გასაგონად განვიცხადო, რომ მას ამჯერად მისამართი შეეშალა. ჩემთვის ცნობილია ის ძალები და პიროვნებები, ვის გამოყენებასაც აპირებს დემოკრატია და ვისაც იგი ეყრდნობა.

როდესაც ვაცხადებდი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კარდინალური რეფორმების განხორციელების შესახებ, ეს არ იყო პოპულისტური, საფუძველს მოკლებული განცხადებები, ამ რეფორმის ძირითადი მიზანი იყო არა მხოლოდ პოლიტიკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა და დახვეწა, არამედ აუცილებელი საკადრო ცვლილებების გატარება. მისი მსვლელობისას პოლიტიკის ბევრი უღირსმა მალაჩინოსანმა და სხვა კორუპციულმა თანამშრომელმა დაკარგა შემოსავლის წყარო და არასაკვირველია განაწილებული, უწყალოდ იქნება ჩემით. სწორედ მათგან ელოდება ჩემს „ამბიციებზე“ მასალებს იასარიშვილი-ჭანტურისა.

ქალბატონო ირინა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი თქვენი „კვირები“ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლო დროს ისინი საკმაოდ აქტიურად იყვნენ, რომ გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში თქვენი „გულშემატკივრებისა“, რა ძალები ეყრდნობით, მათ შორის შეგ სამყაროში. ნიშანდობლივია ისიც, რომ თქვენი ამგვარი „გაბატონება“ ჩემს მიმართ დემოკრატიაში პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კორუპციისა და უშედეგო ეკონომიკურ დანაშაულში მრავალი პირის მხლებს.

ბოლოს და ბოლოს უნდა



პირველი გვერდიდან

გაიარკვეს ჰეგემარტივა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოჩნდეს ვინ არის სარიშვილი-ჭანტურის, რა მიზნები ამოკრავს მას. მიუხედავად მისგან განსხვავებით დიდი სამსახურებრივი დატვირთვისა, გამოვანახე დროს და საშუალებას, რათა საზოგადოებრივად ვამცნო პასუხი ამ კითხვაზე. მე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხის ვაგებ ხალხს, პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე ჰეგემარტივის სტაბილურობისა და წესრიგის შენარჩუნებაზე, მაჭეს მორალური უფლება და ვადასტურებ, ვინაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალათასობრივი კოლექტივის წინაშე, პასუხი ვაგებ ჩემი მისამართით გამოთქმულ უსაფუძვლო პრეტენზიებს. მე არასდროს დამითმია და არც ახლა ვაპირებ პრინციპული პოზიციების დათმობას. თუ იასარიშვილი-ჭანტურის გააჩნია რაიმე „ამბიციები“ დოკუმენტები, თითოეულ მათგანზე გაცემული იქნება დასაბუთებული, არგუმენტირებული და ამომწურავი პასუხი, რის შემთხვევაშიც დაგეგნებ ცილისწამებათა სამართლებრივი შეფასების საკითხს.

ქობა ქობაქა 16.07.97

მიკუპვ სიმარტულს

ბაზილი „საქართველო“ 12-15 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი - „ოპოზიციონერის ქორწილში მოღვინისათვის მოქალაქეების წევრი მოქალაქეების რაიონულმა ლიდერმა დასაჯა“.

წერილის პუბლიკაციის შემდეგ დაგვიკავშირდა მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე კობა ბექაური. შეხვედრას ესწრებოდა რაიონის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე ბნი დავით კვიციანი.

მოქალაქეთა კავშირის სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბნიმა დავით კვიციანმა საუბრისას აღნიშნა, რომ არაერთი დაპირისპირებას ქნი ღებოდა ჩქარულს და მოქალაქეების შორის ადგილი არ ჰქონია, ისევე როგორც მისი „აქტივის კრებაზე“ „ტყუარის გაძრობას“. რაც შეეხება ქორწილის ფაქტს - ქართველი კაცისათვის მნიშვნელოვანია არ უნდა ჰქონდეს გაბედნიერებულთა პარტიულ კუთვნილება. თვითონ შეუდლების ფაქტი იმდენად სასიხარულო და ზეპარტოვლია, რომ აბსურდულად მიიჩნია ამისთვის ქართველისგან ქართველის გაკაცება რაც შეეხება ვერცხვად დასაჯვად ოპოზიციური პარტიების, თუკი სამგორის რაიონისათვის ვინმე რეალურად სასიკეთო საქმის გაკეთებას გადაწყვეტს, ყველასთან მზად არის სათანამშრომლოდ.

ბნი დავითმა თუმორის გრძობით აღნიშნა, რომ კარიკატურაში, რომელიც წერილს თან ერთვის, მგობობებმა მისი პალსტუხი „ამოიცნეს“.

სამწუხაროა, რომ იმ მოქალაქეების ლიდერში, რომელმაც გამგობის თანამშრომელი „დატუქსა“, მე მივუღიხსმეთ - აღნიშნა მან.

იმ ლაპარაკის შესახებ კი, რომელმაც „დატუქსის“ ინციდენტს დაუდო საფუძველი, ახალგაზრდული მოქალაქეების რაიონულმა ლიდერმა კობა ბექაურმა შემდეგი ინფორმაცია მოგვწოდდა: შაბათს, აეროპორტის დასახლებაში დეტოლვილი მოსახლეობისათვის გამგობამ მოქალაქეთან ერთად მოაწყო უფასო გასართობი საღამო მსახიობ ბიძინა მახარაძის მონაწილეობით, რომელიც სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ქნი ლეილა ჩქარულმა, როგორც გამგობის მოადგილე, კურირებს დეტოლვილების საკითხს და არის მოქალაქეების სათანაბროს წევრი. რადგანაც ქნი ლეილა ამ დონისძიებაზე არ ბრძანდებოდა, ბნიმა კობამ მასთან საუბრისას აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ნახევარი საათით მაინც გამომჩინილიყო იქ, სადაც იგი თავისი ფუნქციონალური მოვალეობებიდან გამომდინარე ვალდებული იყო ყოფილიყო. ეს, - აღნიშნა ბნიმა კობამ, - კიდევ ერთხელ გაუსიამადა ხანს გამგობისა და მოქალაქეების თანადგომას დეტოლვილთა ხეცდრის შემსუბუქების საქმეში. ეს იყო და ეს. არავეს არავესთვის ქორწილში ოპოზიციონერებთან ქვი იყო არ დაუშვია, ან კი როგორი წარმოსადგენია ამგვარი აკრძალვა?

რაც შეეხება ავტორის პირად აზრს, რაც, აღბათ, მკითხველს აინტერესებს, ბნი კობასთან და ბნი დავითთან საუბრის შემდეგ გულწრფელად ფიქრობს, რომ ისინი ნამდვილად არ არიან ის ხალხი, ვინც ქორწილში (ოპოზიციონერი) წასვლის

23 ივლისს დაიწყება ქართულ- აფხაზური მოლაპარაკებები

23-25 ივლისს, ენეპეაში, გაეროს ევროპული განყოფილების შტაბ-ბინაში დაიწყება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მოლაპარაკებები მორიგი რაუნდით. საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, აფხაზეთს - სერგი ბაგაევი. ამის შესახებ „იფრინდა“-ს კორესპონდენტს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს. მოლაპარაკებებში ასევე მონაწილეობას მიიღებენ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარგზავნილი ლივიუ ბოტა და რუსეთის წარმომადგენლები. მოლაპარაკებებში მთავარი თემა იქნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ყველა შესაძლებელი გზების ძიება. (იფრინდა)

გამოსახლება გადაიდო

მარტონში დემოკრატიული პარტიის გამოსახლება გაურკვეველი ვადით გადაიდო, - უთხრა გუშინ ჟურნალისტებს მთაწმინდის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელმა, ნოდარ კოკლაშაშვილმა, რომელსაც უნდა აღესრულებინა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება და თვითრატორი ინსტიტუტისთვის გადაეცა რუსთაველის გამზირზე მდებარე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისი.

„ჩვენ არ შეგვიძლია სედა-ის ძალით გამოვდგა, რადგან ეს დესტაბილიზაციას გამოიწვევს და პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს“, - უთხრა კოკლაშაშვილმა შტაბ-ბინასთან შეკრებილ 30-მდე სედა-ის მომხრეებსა და ჟურნალისტებს, რომელთაც ოდნავ გულციკ კი დაწვდათ, არაფერი რომ არ მოხდა.

მიმდინარე წლის 13 ივნისს მთაწმინდის რაიონის საარბიტრაჟო სასამართლომ, ხანგრძლივი განსჯის შემდეგ, გადაწყვიტა მეზობლად მდებარე თვითრატორი ინსტიტუტისთვის გადაეცა სედა-ის 2 სართულიანი შტაბ-ბინა, რომელიც ამ პარტიის ჭერ კიდვე ზეიად გამსახურდიას დროიდან აქვს დაკავებული. პარტიის ხელმძღვანელობა უარს აცხადებს დემოკრატიის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადგან მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მისაღებად უფრო მაღალი ინსტანცია არის საქირო.

„საარბიტრაჟო სასამართლო იმ სიმძლავრე არ იმყოფება, მსგავსი საკითხები რომ გადაწყვიტოს. ჩვენ ვაშალებთ მისაღწევას საკონსტიტუციო სასამართლოში გადასაცემად“, - განაცხადა დღეს ჟურნალისტებს სედა-ის პოლიტიკური მდივანმა, ირაკლი ქალაგაშვილმა.

ზუსტად ირითი თვის წინ თვითრატორი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ სედა-ის თვითრატორების დახმარებით გამოცხადებინათ პარტია თავისვე შტაბ-ბინიდან. თუმცა, სედა-ის მხარდასაჭერად მისულ 100-მდე ადამიანთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა იტულებული გახდა უარი ეთქვა თავის განზრახვაზე.

როგორც გუშინ სასამართლო აღმასრულებელმა აღნიშნა, „შარტებს უფლება აქვთ თავად შეთანხმდნენ“, მისი თქმით, თუ ეს არ მოხდება, ხელისუფლება „ქალსმინერ მეთოდებს მიმართავს, რის თაობაზეც დამატებით იტყობინება წერილობითი სახით“. მიუხედავად ყველაფრისა, კოკლაშაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეები მაინც მოახერხებენ საერთო წინსვლის მიზანს, რადგან ისინი წესდები ხალხია“. (პრეზიდენტი)

მუხლი 117

დღგ-ის საანგარიშო პერიოდი
დღგ-ის საანგარიშო პერიოდზე თითქმის კალენდრული თვე.

მუხლი 118

ბიუჯეტთან ანგარიშსწორება საანგარიშო პერიოდში დღგ-ის ჩასთავლელი თანხის დაბრუნება დღგ-ის თანხზე გადაამტკების შემთხვევაში

1. თუ საანგარიშო პერიოდში დღგ-ის გადახდელის დასაბეგრი ბრუნვის არანაკლებ 25 პროცენტის იბეგრება ნულიდან განაკვეთით, ჩასთავლელი დღგ-ის თანხის გადაამტკება დარღვული დღგ-ის თანხაზე უბრუნდება გადასახადის გადახდელს საგადასახადო ორგანოს მიერ ამის შესახებ დღგ-ის გადახდელის განცხადების მიღების დღიდან 15 დღის განმავლობაში.

2. სხვა დღგ-ის გადახდელისათვის ჩასთავლელი თანხის გადაამტკება საანგარიშო პერიოდის მანძილზე დარღვული დღგ-ის თანხაზე გადაამტკება შემდეგ საანგარიშო პერიოდში და ჩასთავლეთ მიმავალი პერიოდების გადასახდელში, ან მათ უბრუნდება ბიუჯეტთან დღგ-ის გადახდელის განცხადების მიღების დღიდან 15 დღის განმავლობაში.

3. საგადასახადო ორგანოს მიერ დღგ-ის გადახდელისათვის თანხის შევლით დაბრუნების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს ამ თანხის დაბრუნება დღგ-ის გადახდელისთვის წესით.

მუხლი 119

დღგ-ის ანაზღაურება გრანტის შემთხვევაში

1. პირს, რომელიც ფულადი გრანტით დაინარსებულ საქონელს ანდა ახვე სამუშაოზე იყენებს სამუშაოს ან მომსახურებას, უფლება აქვს ანაზღაუროს ამ საქონელისათვის, სამუშაოს ან მომსახურებისათვის გადახდილი დღგ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აკარიშ-ფაქტურის წარდგინის შემდეგ.

2. დღგ-ის ანაზღაურება ხდება მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ განცხადება საგადასახადო ორგანოს წარდგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მიზნებით თვის ბოლომდე ამ კოდექსის 118-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მოთხოვნები გამოიყენება, ამ მუხლის მიმართ.

მუხლი 120

დღგ-ის გადამხდელთა ბასუნისშეგებლობა და საგადასახადო ორგანოების მიერ კონტროლის დაქვება

1. პასუხისმგებლობა დღგ-ის არასწორად გამოანგარიშებისათვის, ბიუჯეტში დროულად გადახდებისა და საგადასახადო ორგანოში დეკლარაციების დღეებში გადგმაში წარუდგენლობისათვის გაისწორება დღგ-ის გადახდელისა და მათ თანამდებობის პირებს ამ კოდექსის მიხედვით, ხოლო, თუ დღგ-ის გადახდელისა შუდის საქართველოს საბაჟო ორგანოების კომპეტენციისა, - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

2. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ევალება კონტროლი საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენება ამ კოდექსისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 121

ფინანსური სანქციები ამ კართით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის

1. ამ კართით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირს მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 252-254-ე მუხლებით გათვალისწინებული ფინანსური სანქციები.

2. გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციებისა, საგადასახადო ორგანოზე ფინანსური სანქციის სახით პირს ახდენენ:

პარი IV

აქციზი

თაში 19

აქციზი

მუხლი 122

აქციზის ცნება

1. აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად.

2. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი განთავსდებული არის გადასახდისგან.

მუხლი 123

გადასახადის გადამხდელი

1. აქციზის გადამხდელად თითქმის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს ან ქვეყნის იმპორტს საქართველოში, თუ ამ კართით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. დამკვეთს მიერ მიწოდებული ნედლეულიდან საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად თითქმის საქონლის მწარმოებელი.

მუხლი 124

დაბეგრის ობიექტი

აქციზით დაბეგრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი, საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება, მათ შორის დამკვეთის ნედლეულით დამზადებული აქციზური საქონლის გადაცემა.

მუხლი 125

დასაბეგრი ობიექტის თანხა

1. საქართველოში წარმოებულ საქონლის დასაბეგრი ობიექტის თანხა განისაზღვრება იმ თანხის მიხედვით, რომელიც უნდა მიიღოს ან მიიღოს გადასახადის გადახდელმა დამკვეთის ან სხვა პირისგან, აქციზისა და დღგ-ის გადამხდელს, მაგრამ არანაკლებ საქონლის საბაჟო საბიუჯეტო ფასისა აქციზისა და დღგ-ის თანხის გარეშე გადასახადის გადახდელის მიერ საცადლო საბაჟო ფასით გაყიდულ საქონელთან მიმართებით, დასაბეგრი ობიექტის თანხა განისაზღვრება საბიუჯეტო საბაჟო ფასის მიხედვით დღგ-ისა და აქციზის გარეშე.

2. იმპორტისას დასაბეგრი ობიექტის თანხა თითქმის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა შებრამ არანაკლებ საბიუჯეტო საბაჟო ფასისა, აქციზისა და დღგ-ის გარეშე და საქართველოს საქონლის იმპორტისას საგადასახადო მოსაკრებლებისა და გადასახადების თანხის საქონლისა და დღგ-ის გარეშე ვაჭი.

3. აქციზით დასაბეგრი ობიექტის თანხაში არ შედის მრავალჯერად და მოსაყენებელი დასაბეგრელი ტარის ღირებულება, გარდა საცადლო წესით საქონლის მისწოდებლად გამოყენებული ტარის ღირებულებისა.

მუხლი 126

დასაბეგრი ობიექტის დრი

1. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოებისას დასაბეგრი ობიექტის განხორციელების მიზნებზე თითქმის:

ა. საქონლის მიწოდების (გადაცემის) მიმტკიცად 90 დღე;

მუხლი 127

არასასაბეგრი-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის დარიცხვა

1. მიწის გადასახადი ფიზიკურ და იურიდიულ პირს დაეკრება მხოლოდ სარგებლობის უფლების წარმოშობის თვის მომდებარეობის შემთხვევაში.

2. არასასაბეგრი-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი გადაიხდება თანაბარწილად ყოველწარმოებულ საანგარიშო კვარტალის მომდებარე თვის 15 რიცხვამდე.

მუხლი 128

მიწის გადასახადისგან განთავისუფლება

მიწის გადასახადით არ იბეგრება:

ა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებული აქვს საზოგადოებრივ ინტერესებს, გარდა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნებისა;

ბ. სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასვლელკო, კვლევით-მედიკალური, გეოგრაფიული და ნაკვეთის, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტის ხასხობით;

გ. ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება უსინათლოების, ყოფილ-ბავშვების, განხორციელებული და ფიზიკურად განუვითარებელი დაავადების, იმის ვეტერინარული საზოგადოების, მოხუცთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადამტაცისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების მიერ და ფინანსდება ბიუჯეტით;

დ. ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიის, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლებზე მინერული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამეურნეო საქმიანობისათვის;

ე. ბუნების დაცვის, ბუნების დაცვის და ენერგოლოგიური ბაღეტი, კულტურისა და დასვენების მნიშვნელოვანი პარკები და სასაფლაოები, ზოოლოგიური ბაღეტი და პარკები, ოკეანოლოგიური, სკვერები, ხეობები, დაცული ტერიტორიები, სატყეო ორგანიზაციები, ასევე დია სატყეო პარკები, ბაღეტი და ტყე-ბაღეტი, გარდა ამ ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

ვ. ქალაქის წყალსაცავები და მათი ავტორიზების, ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სამეურნეო საქმიანობისათვის;

ზ. ადგილობრივი ავტორიზების ცენტრების, გარემოს დამინტერესების კონტროლის სადგურებისა და დანაწილების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

თ. სასმელი წყლით მოსახლეობის მიმარაგებისათვის, კვლევით-სადავოებისა და სამედიცინო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავები დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანტარული-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

ი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოყენებული საბაბები, საბიუჯეტო, სასაქონლო-საქონლო და სასაბაჟო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

კ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელია ნაყოფიერი ფენაზე სასაბეგრი და მტკიცად დაზიანებული სტრუქტურის მიწები;

დ. ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებზედაც მიიღეს ან დაედა ანაბეგრული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები - მიწების პირველი 5 წლის განმავლობაში.

ე. ნასოფლოების ტერიტორიაზე აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღირსშესაბამა შესაძლებელი დასახლებული მოსახლეობის ოჯახები - დასახლებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში.

ვ. მთავრ მსოფლიო ომის დანაშაულები და მათთან გათანაბრებული პირები;

გ. კურორტის, რევიდის, თიხის თემების, სოფლების აწყვეთა და ნული - დროებითი, კონფლიქტის მოგვარების და ეკონომიკური სიძულების დარღვევებისამდე.

2. დაფიქსირებული საგადასახადო შედავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, რადგან შედავათების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი მის საკუთრებაში მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს იმ მის ნაწილს, ანდა შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) ოჯახით გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მისაბეგრი
გადასახადი
თაში 25
ავტოსატრანსპორტო საშუალებების მისაბეგრი

მუხლი 129

გადასახადის გადამხდელი
გადასახადის გადახდელთა პირი, რომელიც საკუთრებაში აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებას.

მუხლი 130

დაბეგრის ობიექტი
დაბეგრის ობიექტია ავტოსატრანსპორტო საშუალებები საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნით ნომეტრული 87-ე თავის 8702-8704 კლასის მიხედვით.

მუხლი 131

საგადასახადო განაკვეთები
გადასახადის განაკვეთები დღგ-ის შემოსულობის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა საბეგრებისა და მრავალი საბეგრის მიხედვით და თითოეული ცხების ძალაზე შეადგენს:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობა	გადასახადის განაკვეთი
მსუბუქი ავტომობილები	0,25
ავტომობილები 12-მდე ადგილით	1,0
ავტომობილები 13-30 ადგილით	1,3
ავტომობილები 30-ზე მეტი ადგილით	2,0
საქართველო ავტომობილები ტერიტორიაში 1 ტრანშე მართვითი	0,4
საქართველო ავტომობილები ტერიტორიაში 1-3 ტ მართვითი	0,6
საქართველო ავტომობილები ტერიტორიაში 3-10 ტ მართვითი	1,3
საქართველო ავტომობილები ტერიტორიაში 10-20 ტრანშე მართვითი	2,0
საქართველო ავტომობილები ტერიტორიაში 20-40 ტრანშე მართვითი	2,6
საქართველო ავტომობილები 40 ტრანშე მართვითი	4,0

მუხლი 132

გადასახადის გადახდის წესი
1. გადასახადი იბეგრება სახელმწიფო სახლი ფორმში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის, ხელმწიფო რეგისტრაციის (თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების წინა მესაკუთრის მოცემული წლის გადასახადი არ აქვს გადახდილი ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს).

2. რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია ან ტექნიკური დათვალიერება არ უნდა განხორციელდეს გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგინების გარეშე.

3. გადასახადს აქვს სახლი დარღვის მართვის ორგანოს მიერ შეტანილი სასაბაჟო შიდაც საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

მუხლი 133

საგადასახადო შედავათები
გადასახადისგან თავისუფლება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ავტომობილების მიხედვით არ არის ექსპლუატაციის და მოცემული წლის ან ექვსწლიურების ტექნიკური დათვალიერების და ხელით სამართავი ავტომობილები და მოტოციკლები (თითო მესაკუთრეზე - არა უმეტეს თითო ავტომობილისა ან მოტოციკლისა);

ელშარდ შეპარდნაჲმ ვაშინგტონშია

საბარტეველი პრეზიდენტი ელშარდ შეპარდნაჲმ, რომელიც გუშინ თბილისიდან გაფრინდა აშშ-ში, დღეს ჩავა ვაშინგტონში, რათა აშშ-ის მთავრობის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ერთად განხილოს კერძო ინვესტიციების პერსპექტივები საქართველოს ეკონომიკაში.

„შეპარდნაჲმ ფართოდ ისაუბროს საქართველოს ეკონომიკურ პრიორიტეტებზე და ეკონომიკის იმ სექტორებზე, რომლებიც მზად არიან მიიღონ გრძელვადიანი კერძო ინვესტიციები აშშ-დან. გარდა ამისა, შეპარდნაჲმ თავად შეიტყუოს ამერიკელი კომპანიების მოთხოვნები შესახებ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სასსრების ჩადებით მისი ქვეყნის ეკონომიკაში“, - ნათქვამია ამერიკის კერძო ინვესტიციების კორპორაციის მიერ 8 ივლისს გამოქვეყნებულ პრესრელიზში.

17 ივლისს ელშარდ შეპარდნაჲმ პირველად ეწვევა ვიზიტით ვაშინგტონში მის შემდეგ, რაც 1995 წლის ნოემბერში ის საქართველოს პრეზიდენტად იქნა არჩეული. ის ეწვევა ამერიკის კერძო ინვესტიციების კორპორაციის ოფისს და მის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს ეკონომიკური რეფორმების პროცესს საქართველოში და კერძო ამერიკული ინვესტიციების საშუალებებს ამ კუთხით, - ნათქვამია კორპორაციის ცნობაში.

ეს კორპორაცია ფედერალური სააგენტოა, რომელიც არ სარგებლობს გადასახადის გადახდის სახსრებით, სააგენტო ყიდის თავის მომსახურებას ნებისმიერი დონის ამერიკულ კომპანიებზე, რომლებიც განვითარებადი ეკონომიკის მქონე 140 ქვეყანაში ახანდლებს სასსრებს. 1971 წლიდან სააგენტომ 107.8 მილიარდი ამერიკული დოლარის მხარდაჭერა აღმოუჩინა ინვესტიციებს.

ვარაუდობენ, რომ სააგენტოში შეპარდნაჲმთან გამართულ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკული კომპანიების 50-ზე მეტი წარმომადგენელი, რომლებიც ეკონომიკის სრულიად განსვავებულ დარგებში მოღვაწეობენ.

სააგენტომ უზრუნველყო პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ტელეკომუნიკაციებისა და რთვი საინვესტიციო ფონდებისთვის.

„სააგენტო მზარს უჭერს ამერიკის საგარეო პოლიტიკის და სრული მხარდაჭერით მიიღებს ელშარდ შეპარდნაჲმს, მისცემს მას ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის საშუალებას, - განაცხადა სააგენტოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, მილდრედ რაულსმა, - მას საშუალება ექნება უამბოს მათ საქართველოში ეკონომიკურ პრიორიტეტებზე და ეკონომიკის იმ სექტორებს შესახებ, რომლებიც მზად არიან აშშ-ის გრძელვადიანი კერძო ინვესტიციებისთვის და თავადაც შეიტყუოს ამერიკელი კომპანიების მოთხოვნების შესახებ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სასსრების ჩადებით მისი ქვეყნის ეკონომიკაში“.

შეპარდნაჲმთან ერთად ვაშინგტონში ჩაელვან რთვი მინისტრებისა, მათ შორის საგარეო საქმეთა, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის, სთობისა და ენერჯეტიკის, ფინანსთა მინისტრები, როგორც დაგეგმილია, სააგენტოში გამართულ შეხვედრას დაესწრება აშშ-ის მთავრობის რამდენიმე ოფიციალური წარმომადგენელიც - ვაჭრობის სამინისტროდან, სახელმწიფო დეპარტამენტისა და ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოდან. (პრამ-ნიუსი)



აკვლავლის სეზონის ისპორიდან

კლასიკური იყოფოდნენ მამაკაცთა და ქალთა ჯგუფებად, რომელთა სავსეობა სახელი „ბრძენთა კრება“ იყო. ყოველი გავითვლილი გულდასმით მზადდებოდა, იწერებოდა, მოწმდებოდა ხალიფის მიერ და მისი პირადი ბეჭდით დასტურდებოდა. გავითვლილს დამთავრების შემდეგ, რომელიც ყველა დამსწრე ეამბორებოდა - ხალიფი ხომ ამტკიცებდა, რომ იგი მოპამედის პირდაპირი ჩამომავალი გახლდათ. მისი სიძის ალის და ისმალის - მეშვიდე იმამისგან გამომდინარე მას მეტად აღმერთებდნენ, ვიდრე დავალი-ლამას.

უნივერსიტეტს („ზიარებულთა საგანგ“) რომელიც ყოველწლიურად ხალიფისგან მეოთხედ მილიონ ოჭრას მონეტას იღებდა, ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექცია და იმ დროისათვის არსებული ყოველგვარი სამეცნიერო ინსტრუმენტი გაიანდა. ერთი შეხედვით ეს ჩვეულებრივი ძველარაბული უნივერსიტეტი გახლდათ, რომელიც თავისი ორგანიზაციით ძლიერ ჩამოგვდა ოქსფორდს, მაგრამ ჭეშმარიტ მის დანიშნულებას სტუდენტთა აზროვნების სრული გარდაქმნა წარმოადგენდა. სტუდენტებისა, რომლებაც ზიარების ცხრა საფეხურს გადიოდნენ.

პირველ საფეხურზე მასწავლებლები აღკრავდნენ ექვემდებარებულთა ყველა საზოგადოებრივ წარმოდგენებში - რელიგიურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ. ისინი ყლბი აღგვირგობის და სპეციალური მეოთხედის და მხეების საშუალებით უნერგავდნენ სტუდენტებს, რომ ის, რაც მათ აქამდე მასწავლებლებმა ასწავლეს, დაფუძნებული არაქმეშმარტი რწმენაზე და ამდენად ნდობას არ იმსახურებს, არაბი ის-დასაწყისი ის „საქართველო“ №71.

ტორიკოსის, მარკიზის აზრით, მათ ამით ახვედნენ დაყრდნობოდნენ ახალ მასწავლებელთა და მხოლოდ მათ ავტორიტეტს, როგორც ერთადერთ სარწმუნო საფუძველს, ფაქტების ჭეშმარიტი ახსნისათვის. ამავ დროს მათ სისტემატურად აწოდებდნენ აზრს, რომ ფორმალური ცოდნა წარმოადგენს მხოლოდ შირმას, რომლის უკანაც დაფარული, ჭეშმარიტი და ღრმა ყოველი სიმამცველი ჭეშმარიტება ძვეს. ისინი ამ ჭეშმარიტებას შეიცნობენ, როგორც კი მისი აღქმის შესაძლებლობის მდგომარეობაში იქნებიან. ამგვარი „რამსების“ არევის ტექნიკა მანამდე გამოიყენებოდა, სანამ სტუდენტი მზად არ იყო მიეცა ფიცი, ბრმად დამორჩილებოდა აღმზრდელს.

დანიშნულ დროს სტუდენტი, ყველა საჭირო რიტუალის შესრულების შემდეგ, იძლეოდა ასეთი სახის ფიცი და ამით ზიარების პირველ საფეხურს გადიოდა. მეორე საფეხურზე ასწავლიდნენ, რომ მხოლოდ იმამები ცოპამედის სულიერი მემკვიდრები გახლდნენ სიღმლო ცოდნისა და ძალაუფლების ერთადერთი ჭეშმარიტი მფლობელები. აქედან გამომდინარე, რადგან მასწავლებლები იმამთა წარმომადგენლები არიან, სტუდენტმა უნდა აღიქვას მათი ყოველი სიტყვა და მოქმედება როგორც ღმერთისგან მომდინარე.

მესამე საფეხურზე სტუდენტები სწავლობდნენ მხოლოდ ზიარებულთათვის ცნობილ შეიდი იმამის სახელებს და სიტყვებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო წყლოცვა, რათა მათი ძალაუფლების ნაწილი გამოიყენება შესაძლებელი გამხდარიყო, როგორც პირადი, ასევე უპირველეს

ყოვლისა სეტის ინტერესებისათვის.

მეთოხე საფეხურზე სწავლობდნენ მოძღვრებას შეიდი მისტიური კანონმდებლისა და მათი მაგიური პერსონაჲების შესახებ. მათი სახელები იყო: აღამი, ნოე, აბრაამი, მოსე, ჭრისტე, მოპამედი და ისლამის შეიდი. ამ უკანასკნელს საიდუმლოებით მოცული მოადგილე - დროის მზრძანებელი „ჭეშმარიტების ხალხის“ დამრიგებელი ჰყავდა. ასე ეხსენდნენ თავიანთ თავს ისმაილიტები მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში შიიტებს შორისაც განხეთქილება მოხდა. იმამმა ჯაფარმა, შიიტ იმამთა დინასტიის მეექვსე წარმომადგენელმა თავის უფროს შვილს ის-მაალს წაართვა უფლება იმამის ღირსების მემკვიდრეობისა. შიიტ ექსტრემისტთა ჯგუფმა ჯაფარის გადაწყვეტილება არ ცნო და ისმაილი კანონიერ და ბოლო იმამად აღიარა. ამ შიიტურ უმცირესობას შეერკვა სახელი „ისმაილიტები“. ამ საიდუმლოებით მოცული ფიგურის სახელს თვითონ ხალიფი ეფარებოდა.

მესამე საფეხურზე სტუდენტი ეცნობოდა თორმეტი აპოსტოლის ოკულტურ ძალაუფლებას. ერთ-ერთი ატორის მტკიცებით, იმისათვის, რომ ხალხზე ზეგავლენის ხელოვნებას დაუფლებოდნენ, სტუდენტები ფსიქოლოგიურ მომზადებას გადიოდნენ. ამისთვის ისინი კონცენტრაციის, ჰიპნოზის მედიტაციის საფუძვლებს სწავლობდნენ.

მეექვსე საფეხურზე ასწავლიდნენ ოპონენტთა აზრების არგუმენტაციით განადგურების მეთოდებს. ამ საგანში სტუდენტს მკაცრი გამოცდა ელოდა.

გამრბამევა შემდეგ ნომერში

• ვიზინდან „სპი და კალაუფლვა“

ანდროპოვის არ ეზონოდა ბრძოლის ფილიპ ბოკოვი

სპი-ის პოზიციის სისწორეზე ისიც მეტყველებს, რომ არსებობს ამგვარი ფაქტებიც: სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მოსკოვში რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის დემონსტრაცია გაიმართა, რომელთა ძირითადი ღოზუნებები იყო „რელიგიის თავისუფლება“ (ბაპტისტების მოთხოვნები), „ებრაელთა საზღვარგარეთ გასვლის თავისუფლება“, „არ დაეუბრუნდეთ სტალინიზმს!“

ყოველი ასეთი აქციის საპასუხოდ გარყვეულ ზომებს იღებდნენ: გადაწვევდებოდა ბაპტისტური თემების რეგისტრაციის პორტები მათი შეზღუდვების მიზნით, ებრაელთა საზღვარგარეთ გასვლის გზები და, რა თქმა უნდა, იყო მცდელობა, რომ ხალხი დაერწმუნებინათ, - სტალინიზმიც დაბრუნება აღარ მოხდება.

ამგვარ შემთხვევებში ანდროპოვი ურჩევდა ფრთხილ და მოქნილ პოლიტიკის გატარებას. მაშინ მკაცრი რეპრესიების მომხრეც ბევრი იყო. მაგალითად, იყო წინადადება მასობრივი გამოსვლების ორგანიზატორების მოსკოვს გარეთ გასახლების შესახებ.

ამ ექტთან დაკავშირებით შედგა თათბირი ანდროპოვთან, რომელსაც დაესწრნენ სსრკ ეკონომური პროკურორი რარუდენკო, შსს მინისტრი ნაშოლოკოვი, მოსკოვის სუკ-ის სამმართველოს უფროსი სპ.ლილინი, სუკ-ის თავმჯდომარე დასაწყისი ის „საქართველო“ №48-71.

ის ორი მოადგილე გ.კ.ცინევი, ს.კ.ცეკუნე და მე.

მოსკოვის ხელისუფლების სახელით სიტყვით წარმოთქვა დიდილინმა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე.ე.გრიშინის დაეალებით, მან დააყენა საკითხი წამქუზებულთა მოსკოვიდან გასახლების თაობაზე მას შეეკამათნენ, რომ ამგვარი ადმინისტრაციული ზომები კანონს ეწინააღმდეგებოდა. დიდილინი მხარი დაუჭირა შროლოკოვმა, მან დამსწრეებს შესთავაზა „დედაქალაქის გაწმენდა“. მოითხოვა სუკ-ის, შსს და პროკურატურის წარმომადგენლები საგან შემდგარი შტაბის შექმნა.

მე შევეკამათე, რუდენკომ მხარი დამიჭირა და შროლოკოვთან გამართა დისკუსია ამ უკანასკნელმა მინც თავისი დაიჩინა ცინევი და ცერუნეი სკამებზე წინადადებდნენ.

მე ისევ მოითხოვე სიტყვა და შევეცადე დამესაბუთებინა, რომ ეს კანონმდებლობის დარღვევა იყო.

- შენ რას გეთავაზობ? - შემეკითხა ანდროპოვი.

- თუ დიდილიანს შეუძლია იმის დამტკიცება, რომ ამ ადამიანებმა დანაშაული ჩადინეს, დაე ისინი კანონის მიხედვით დაისაჯონ. მხოლოდ სასამართლოს შეუძლია მათი პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა.

მაგრამ დიდილინი და შროლოკოვი პოზიციებს არ თმობდნენ. კამათი მთელი ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ ჩვენ მინც ვერ მივედით ვერანაირ გადაწყვეტილებამდე ანდროპოვმა დახურულად გამოაცხადა სხდომა. წინადადება მოგვცა, კიდევ ერთხელ დაეფიქრებულყოფით ამ საკითხზე.

შროლოკოვი დერეფანში დამეწია, მზარველი და ორნოული ტრითი მომხმართა:

- ყოჩაღ შენ, აი ასე უნდა დაიცვა საკუთარი პოზიცია!

ცერუნემაც უბოლხე ოფლის წმენდითა და ნაძალადევი დიმილით მხარზე ხელი წამიგყაუნა, თითქოსდა შექების ნიშნად.

მე შესანიშნავად მესმოდა ამ ორნოული კომპლიმენტების მნიშვნელობა. გრიშინი მზად იყო დედაქალაქში სიმშვიდისათვის ყველაფერი გაეყო, „მოსკოველი ბოლშევიკების“ ამ მეთაურისათვის გზის გადაღობვა არ იყო სასურველი.

მე მინც დიდი სიამოვნება მივიღე, როდესაც ანდროპოვმა დამირეკა და შემეკითხა:

- შენ სწორედ დასეი საკითხი, არაუის გასახლებლას არ ვაპირებთ!

მე კარგად მესმოდა, რომ რეპრესიული მეთოდების შესახებ კამათში, როგორც სარკეში, ისე აისახებოდა სახელმწიფოს მმართველთა ურთიერთობა და საკმაოდ ნათლად ჩანდა მათი კარიერისტული მისწრაფებანი, ესაც ამ ბრძოლის ქარცეცხლდინდ გვირგინის მიღება ეწადა.

გამრბამევა შემდეგ ნომერში

უარს ახსნავენ ჩვენებების მიხედვით

„წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაციის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში, ალექსანდრე მარინოვი მას შემდეგაც უარს აცხადებს ჩვენებების მიცემაზე, რაც ფედერაციის გენერალური მდივანმა მას ნება დართო ქართველ სამართალდამცავებთან ურთიერთობაზე, - უთხრა პრამ-ნიუსს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გურამ ქარქაშაძემ.

13 ივლისს ღამეს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მარინოვი მანქანით დაეჯახა ორ თბილისელ ახალგაზრდას, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ. მარინოვმა უარი თქვა პასუხები გაეცა გამოძიების დიკითხვებზე, რადგან მას დემოკრატიული იმუნიტეტი აქვს.

გურამ ქარქაშაძის თქმით, „მარინოვს დაკითხვისთვის აუცილებელი ყველა პირობა შეუქმნეს, მიიყვანეს ორი ადვოკატი, მაგრამ გამოძიებელი ბედიშვილი, რომელიც გუშინ 2 საათის განმავლობაში ელოდა მარინოვს, ხელცარიელი დაბრუნდა“.

დღეს ქვეყნიდან ჩამოიღეს „წითელი ნახევარმთვარის“ წარმომადგენელი ანდრეს პერსონი, რომელიც ადგილზე უნდა გაეცნოს შექმნილ ვითარებას.

ქარქაშაძის თქმით, „მარინოვი ფედერაციის წარმომადგენლის ჩამოსვლას ელოდება და ამიტომაც ამბობს უარს დაკითხვაზე“. (პრამ-ნიუსი)

„მოლაპარაკებათა პროცესის ჩაშლა კალხელ ნაშაბიანის აშახუპრი მხარისათვის“

რომორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ ა.იოსელიანმა განაცხადა, ოთხმხრივი მოლაპარაკება, რომელიც გუშინ, გალის რაიონის სოფ.ტუბურხინჯში უნდა გამართულიყო, აფხაური მხარის გამოუცხადებლობის გამო არ შედგება. აფხაზები კატეგორიულად უარს ამბობენ მოლაპარაკებებზე, სანამ არ შეწყდება პარტიზანული ბრძოლები - განაცხადა აიოსელიანმა. თუმცა, მინისტრის პირველი მოადგილე თვლის, რომ აფხაზებს თავისი „დიდი მშენისაგან“ მიღებული აქეთ დაეალება - ჩაშალონ მოლაპარაკებათა პროცესი, რაც მისი თქმით, ძალზედ წამებოიანია აფხაური მხარისათვის.

აიოსელიანმა ასევე განაცხადა, რომ არ შედგება მისი შეხვედრა აფხაურ მხარესთან, რომელზეც უნდა განხლებულიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულ მეთომართა ბაბუშერას აპოლონიანად გადმოსვენების პროცესთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. (იფრინდა)

მეზობელი

ბასეში სასაფლაოს 60-იანი წლებიდან მოყოლებული სისტემატურად აგრავდება და სწავლობდა კათოლიკე მესხთა ისტორიულ ცხოვრებას. პირველი რიგში შეისწავლა კათოლიკური ცვლილებებზე შემორჩენილი ეპიგრაფიკა, საეკლესიო დოკუმენტი, დოკუმენტი და სხვადასხვა ხასიათის ხელნაწერი დოკუმენტები. როგორც თვითონ წერს, „თურმე სრული ქართული იყო“. ანდა პოლიტიკური მოსაზრებით გაკათოლიკებული ქართველობას თავისი „ტომობრივი მიზნულობა“ არ შეუძლიათ. ვერც ძალად თავსომხვეულ სომხურ ტიპიკონს ვერ შეურყევია მათი ქართული სული და თავიანთი ეთნოური ვინაობის ერთგულნი დარჩენილან. ყოფილა კი ერთგული შემთხვევა ქართველობიდან გადაადგენისა. ამის ნიშნად მას მოპქონდა არტაანის მხარეიდან გადმოსული ველეგ ქართველთა სომხურ რიტუალ ძალად მოქცევის ფაქტი. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო პროფ. შლომსაძის მიერ მოტანილი უამრავ საბუთთაგან ერთგურობის ეს არის იგანე გვარამიძის წერილი რომის პაპისადმი, სადაც ამტკიცებს ქართველ კათოლიკეთა ქართულ-სომხურ ისტორიულ დასაბუთებას და მისი საჭიროებას. ამ თხოვნის ორი ვარიანტი ყოფილა: ერთი წერილის, მეორე - ლექსის ფორმით.

გვიშლიან ჩვენს ენაზედა საერო ლოცვა - გალობას სახარების ქადაგებას, ღვთის მადლსა ღვთის წყლობას.

ვსტირით მწარედ დღედაღამ ცრემლით, ველარ ვიტანთ ამ ძალობას გვიპატრონეთ გაჭირვებულთ, მოგვარჩინეთ ამ საღმრთოებ.

ამ მხატვრულად გაუმართავ სტრიქონებში იგრძნობა ძლიერი ეროვნული ტკივილი პროვინციაში მიკარგული ქართველი კაცისა, რომელიც ცდილობს სიმართლის ხმა მიასწავლოს რომის პაპს. ყოფილა უსულგულო აღმოჩნდა პაპი ლეონ XIII. არავითარმა თხოვნა-მუდარამ, სიმართლის მტკიცებამ მასზე არ გაჭრა. პირიქით, 1894 წელს ლეონ XIII-მ კვლასათვის მოულოდნელად გამოსცა დეკრეტი ამ დეკრეტის ძალით აღმოსავლეთის კათოლიკეებს აკრძალა ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ქართული ტიპიკონის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ქართველი კათოლიკეები სომხებად უნდა დაწერილიყვნენ. მათ სომხური კონდაკი უნდა ეცნოთ, სურდათ თუ არ სურდათ. ამ უსამართლო აქტით განეყოფილებული იგანე გვარამიძე თურმე აფეთქებით დრტვინავდა - წერს ერთ-ერთი მისი მედროვე. გადიოდა თვეები და წლები და პასუხის მოლოდინით შექუჩებული იგანე გვარამიძე ვატყავს მყოფ მიჭელ თამარაშვილს საყვედურებით ავსებს „წესიერად ვერ ირავები, არ ცდილობ, თორემ ასეთ თხოვნას ასე უყურადღებოდ როგორ დასტოვებდნენო“. თავის მხრივ მიჭელ თამარაშვილი საქმეს ცდას არ ავლებდა, მაგრამ არა გამოსდიოდა რა. ამის თაობაზე პატრი დანტონაშვილი, იგანე გვარამიძისადმი მიწერილ ბარათში წერს - „რაც შეეხება თამარაშ-

ვილს რომ საყვედურობით, კიდევ უნდა გითხრათ, რომ ნელია იტალია დიდურხან პრეზიდენტის ქონება. ძლიერ ძეგლად ირავებიან და ძლიერ დიდებულს ფიჭორობენ საქმეებზედა, რომ არ შეცდებითო“.

ბარამ აქვე ვიტყვი ერთი საეკლესიო ფაქტის შესახებ. პაპმა ურბან VIII-მ 1633 წელს გამოსცა ბულია, რომლის ძალით მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ ყველა კათოლიკეს დაერთო ნება თავიანთ ენაზე შეესრულებინა წირვა (გაპაპალი - „საქართველო-რომის ურთიერთობა“, 1995). ასე რომ, აფრიკის მიჯარდნილ კუთხეში მცხოვრებ კათოლიკეს შესაძლებლობა მიეცა მშობლიურ ენაზე დაეყენებინა წირვა. სინტერესოა, რატომ არ გავრცელდა პაპის ეს ბრძანება ქართველ კათოლიკეებზე. ვინ ან რა აფერხებდა პაპის ამ ბულის ძალით უფლებამოსილებას, ქართველ კათოლიკეებს მშობლიურ ქართულზე ეწირათ? ვარაუდით შეიძლება ითქვას ამ ძაღების შესახებ, მაგრამ ეჭვი და ვარაუდი მეცნიერული საბუთი არ არის, საჭიროა ვატყავს არტყებში საბუთების გულდასმით ძიება და იმედი მაქვს ამ „აიდუღლოს“ ფარდა ახდებარაც შეეხება იგანე გვარამიძის და მისი გუნდის ცდას ქართული კონდაკის აღდგენის თაობაზე, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა.

იგანე გვარამიძის მოღვაწეობის მასშტაბებზეა წარმოდგენილია მონოგრაფიაში (წერილები, ფოტოლორული მასალა, ეპიგრაფიკა, პოეზია, ლექსიკონები, საქართველოს ისტორია და სხვა), ამიტომაც იყო, რომ ავაცი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, ზაქარია ჭიჭინაძე დიდად აფასებდნენ იგანე გვარამიძის მოღვაწეობას და ხელს უწყობდნენ მის მამულიშვილურ საქმიანობას მესხეთში.

სინტერესოა დეკანოზ იოსებ ორბელიანის მოღვაწეობის ამსახვე-

ლი ნარკვევი. მესხი ორბელიანები ქვემო ქართლის ორბელიანთა შტოდ ჩანს და მათ თავი გამოუჩენიათ მშობლიური კუთხის სიყვარულით. ერთ-ერთი მათგანია დეკანოზი იოსებ ორბელიანი. იგი იმ დროის ქართველთა პოლიტიკური გულუბრყვილობის გამომხატველია. ერთმორწმუნე რუსეთის მოიმიდევ დეკანოზს, როცა რუსმა შემოიერთა სამეგრეოზე, გაუზადებია მისიონერული მუშაობა და წელიწადნახევარში 30 გამაპადაინებულ სოფლის ქართველი ქრისტიანობაზე დაუბრუნებია: „მაგრამ მალე მის მამულიშვილურ აღტკინებას ახალი ხელისუფლების კოლონიური გეგმები დაუპირისპირდა და მის ნანატრ ოცნებას ცივი წყალი გადაესხა.“

რუსეთის მიავრობამ დეკანოზ იოსებ ორბელიანს მაჰმადიან მესხთა კვლევი ქრისტიანობაზე მოქცევა აკრძალა, რაც თავისი შედეგებით ჩილდირის ომში დამარცხების ტოლფასი იყო - გულისტკივილით შენიშავს პროფ. შლომსაძე. თუ რა მიზანი ჰქონდა ამ აკრძალვას, ამაზე უცვლელი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დეკანოზი კი თურმე მინც არ ისვენებდა და პასუხი-ბეჭუთოვის მიერ ჩალის ფასად გაყიდული ჯავახეთის მამულები შეიძინა, რათა შემდეგ იქ ქართველობა დაესახლებინა. ამისათვის იგი იმერეთის მწიგნობრობის მოსახლობას სამეგრეოზე ეპატრონებოდა, მაგრამ რუსის მიავრობას არ ეძინა და სასწრაფოდ გადმოასახლა გრუზუმელი სომხები. დეკანოზი იოსებ ორბელიანი რომ გაეჭრებოდათ, ის წამს. ანას მესამე ხარისხის ორდენით და 150 მანეთიანი პენსიით დაუჯილდოვებიათ. თუმცა, დაუდგაროველ დეკანოზს მინც ვერ მოუყვენებია და ამ ხანებში (1830) არტაანის სოფელში აღაპებთის სოფლებში: ხუღგუმის, ბაგრას, კარტყამს, ტურატს ჩამოსახლებულ გაკათოლიკებულ, სომხურ ტიპიკონზე ძალად მოქცეულ ქართველთა მართლმადიდებლობაზე დაბრუნება უცდია, მაგრამ გადაგვარებული არქიმანდრიტის პავლე შაყულანისა წინააღმდეგობას წაწყდომია და რენეგატ ნაქართველარს თავისი გაუტანია.

გონივრული პოეზია
ბაბრქაძე შამყვარული

თბილისში საქართველოს სსრ-ის საკრედიტო ბანკის გახსნის

სსრკ-ის საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით საქართველოში შეიქმნება საქართველოს ბანკი მცირე ბიზნესის კრედიტორები-სათვის, - აცნობებს პრაიმ-ნოუს საქართველოს ეროვნულ ბანკში. როგორც ვარაუდობენ, ახალი ბანკის სახელწოდება იქნება „Georgian Micro Credit Bank“ („ჯორჯიენ მაიკრო კრედიტ ბანკი“).

წინასწარი მონაცემებით, ბანკი გასცემს 3-წლიან საინვესტიციო კრედიტებს 1 წლიან კრედიტებს საბრუნავი კაპიტალის შესაყებად. კრედიტების საერთაშორისო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 36 ათას ლარს ერთ საწარმოზე.

ახალი ბანკის საწესდებო კაპიტალი, რომელიც 3 მილიონ ლარს შეადგენს, ფორმირებული იქნება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და გერმანიის განვითარების საფინანსო ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი თანხებით.

საერთაშორისო ბანკის 35 პროცენტი გადაეცემა საქართველოს კომერციულ ბანკებს, რომლებსაც საქართველოს ეროვნულ ბანკსა და უცხოულ პარტნიორებს შორის შეთანხმებული კრედიტორული უკონტაქტო შეარჩევენ (პრაიმ-ნოუსი)

თარგმანად: 1. კახური სნიკერი; 4. ყუთი, რომელსაც გახსნი თუ არა, შიგ შუეკი ინთება; 7. როსაურას ნაბიჭვარი; 9. მთები ინდოეთში; 11. მურტადოს და კუკარაჩას სადაეო ქალი; 12. განთიადი; 14. ზურნიკელას ბები; 16. რანდუს „შაე“ გამოსახულება; 18. მფრინავი თავი; 20. პატარა კახის ნამდვილი სახელი; 23. მაიმუნის სახეობა; 25. ცეცხლოვანი მოფერება; 28. მდინარე ინდოეთში; 31. ამომავალი მზის ქვეყანა; 34. ინტროგანი ქალი ტელესერიალში „კასანდრა“.

შეკვლა: 1. ვირის შეილი; 2. იატაკის „ხაღებიანი“ საფენი; 3. „ას კილიანი“ სამკურნალო მცენარე; 4. შინაური ფრინველი, რომელიც საათის მოვალეობას ასრულებს; 5. სარწმუნოება, რომლის მიმდევრებიც მომრავლდნენ საქართველოში; 6. საძოვარი, სადაც „ია ლაღად“ იზრდება; 8. „თაეშიშევილი“ იმერელი მხედარი; 10. ცხიმი, რომელსაც „მარგარიტა“ ნამცხვრებში ხმარობს; 13. მთავარი პერსონაჟი სერიალში „სახლი ძველუბანში“; 15. „ღალი“ ქართველი კომპოზიტორი; 17. „დარიის“ და „ადის“ შეხვედრის ადგილი; 19. ქსოვილის ნაჭერი, რომლითაც მოჩხუბრებს აშველებდნენ; 21. აღკოპოლიანი ქალაქი; 22. ცხოველთა მეფე; 23. კახეთის გული; 24. სახელმწიფო ეუროპაში; 26. სამეფო დინასტია რუსეთში; 27. „ისპაჰანიდან“ ჩამოტანილი მხალეული; 29. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 30. ზაურის შეყვარებული ქალი ფილმში „რუბა ჩემი სიყვარული“; 32. პატარა ზომის ცხენი; 33. ცხენის ფეხსაცმელი; 35. მარცვლოვანი მცენარე.

შაყვირპირპირი

1			2			3			4			5			6
7		8									9		10		
						11									
			12		13				14		15				
			16		17				18		19				
						20		21		22					
23		24									25		26		27
						28	29	30							
			31		32		33				34		35		

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყვისუფლის მოედანი, კუშპინის ძ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქციის მოადგილე: 93-18-41
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სსსპარტის
შტაბი. №06/4-444